ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2014 წლის 17 ივლისი

ქ. ქარელი

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ.ე“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1

განისაზღვროს ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები დანართი N1 შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ” ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 15 ოქტომბრის N22 დადგენილება.

მუხლი 3

ეს დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2014 წლის 14 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — **ივანე არდემანაშვილი**

დანართი №1

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობა	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)
I	საკრებულოს თავმჯდომარე	2650
II	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1700
III	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	1350
IV	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	1350
V	საკრებულოს აპარატის უფროსი	1000
VI	უფროსი საჯარო თანამდებობის პირი – საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	790
VII	უმცროსი საჯარო თანამდებობის პირი – სპეციალისტი	560